განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი

ბრძანება

MES 4 23 0001747735

21/12/2023

თბილისი

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებული რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე და 61-ე მუხლების, "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების, "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის N118 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა", „ბ" და „ლ" ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, ,,სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესი და ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 23 მარტის N272506 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 18 დეკემბრის N1730675 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მოთხოვნათა შესრულებისა და საჯარო ინფორმაციის შესაბამის ვებგვერდზე დროული და ზუსტი განთავსების მიზნით, დაევალოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ სტრუქტურულ ერთეულებს ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის მიწოდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციისათვის (დეპარტამენტი) ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ ვადებში.

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურედ დადგინდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის ფუნქციათა შემსრულებელი ნათია ლომთაძე.
3. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის ფუნქციათა შემსრულებელს ნათია ლომთაძეს, უზრუნველყოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მოთხოვნების შესრულება.
4. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:
ა) ,,საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებული რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 22 მარტის N267867 ბრძანება;
ბ) ,,საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებული რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 05 აგვისტოს N878549 ბრძანება.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი
გიორგი ამილახვარი